

# სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძანი არ იყო, მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.  
იოსებ ნონეშვილი

№ 12 (4516) • 14 ოქტომბერი • 2015 წელი • • • • • გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით • ფასი 1 ლარი •

## წილკნელთა დიდი სიხარული

### აკის, ასკულდა ოცნება!



**სოფელი წილკანი** მცხეთის რაიონში, მუხრანის ვაკეზე, მდინარე ნარეკვავის მარცხენა მხარეს მდებარეობს, მცხეთიდან 10 კილომეტრზე. სოფელი დასახლებულია გვიანდელი ბრინჯაოს ხანიდან. აქ დგას **წილკნის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი**, რომელიც წილკნისა და დუშეთის საეპარქიოს ცენტრს წარმოადგენს. პირველი საგანმანათლებლო კერა სოფელში ტაძართან 1898 წელს დაარსებულა. ეს იყო ორკლასიანი სასწავლებელი. 1898 წლის გაზეთი „ივერია“ გვამცნობს: „ფრიად სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ახლანდელს ჩვენს ცხოვრებაში ის გარემოება, რომ სწავლა-განათლების საჭიროება და მნიშვნელობა თანდათან შეიგნო ჩვენმა ხალხმა და ჰსურს მიჰყვეს აწინდელი დროის მოთხოვნილებას, ფეხდაფეხ თუ არა, ჩანჩალით მაინც, როგორც

გვესმის, აქეთკენ სოფელი **წილკანი** და **ოძისი** აპირებს სკოლების დაარსებას. რასაკვირველია, სასიამოვნოა, რომ ჩვენი გლეხობაც გამოფხიზლდა, სცდილობს შეიძინოს ამ საუკუნის ერთადერთი იარაღი სწავლა-განათლება, ურომლისოდაც ბრძოლა არსებობისათვის შეუძლებელია“. მეოცე საუკუნის 20-30-იან წლებში ორკლასიანი სასწავლებელი შეიქმნა სკოლად გადაკეთებულა. ომამდე პატარა შენობა მდგარა. წილკნელი **იასონ ბაშარაძის** თაოსნობით ურმით მიუტანიათ ქვეები და მეორე სართული დაუშენებიათ. 40-იან წლებში სოფელში საშუალო სკოლა დაარსდა. სკოლის შენობას XX საუკუნის 60-იან წლებში რამოდენიმე ოთახი კიდევ მიასუნეს. ამ სკოლაში წლების მანძილზე რამდენიმე სოფლის ახალგაზრდობა სწავლობდა. ახალგაზრდები დადიოდნენ

ფრეზეთიდან, უფურეთიდან, ერედვიდან, ახალდაბიდან, ახალუბნიდან. სკოლის მოსწავლეთა კონტინგენტი ამ პერიოდისთვის 500-600 მოსწავლეს აჭარბებდა. სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ყოველთვის დაკომპლექტებული იყო შესაბამისი კვალიფიკაციისა და განათლების მქონე პედაგოგებით. სკოლა ამაყოფს თავისი აღზრდილებით. ყოველწლიურად კურსდამთავრებულთა 70-80% სტუდენტი ხდება. ამჟამად უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს 72 ახალგაზრდა. დღეს სკოლაში 292 მოსწავლე და 26 პედაგოგია. ამათგან, სერთიფიცირებულია 11 მასწავლებელი. სკოლას 13 წელია ხელმძღვანელობს გამობრძმედილი პედაგოგი **ლელია ტაველური**. 2000 წელს სკო-

ლაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ სოფელში სკოლის ახალი შენობა აგებულიყო. წილკნელთა ოცნება რეალურად იქცა და 2015-2016 სასწავლო წლის დაწყება სკოლის მოსწავლე-ახალგაზრდობამ ახალ, თანამედროვე და კეთილმოწყობილ შენობაში იზეიმა. ზეიმი უფრო გააღამაზა ქვეყნის მთავრობის მეთაურის სტუმრობამ. ბატონმა **ირაკლი ლარიბაშვილმა** წილკნიდან საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობას მიულოცა სასწავლო წლის დაწყება, წილკნელებს კი – ახალი სკოლის გახსნა და უსურვა წარმატებები სოფლისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ. სკოლის პედაგოგიური და მოსწავლეთა კოლექტივები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ **სასწავლო პროცე-**



ლამ დაარსების 100 წლისთავი იზეიმა. 60-იანი წლების შემდეგ სკოლის შენობას კაპიტალური და სარეაბილიტაციო სამუშაოები არ ჩასტარებია. წლების მანძილზე სოფლისა და სკოლის ხელმძღვანელობა ყვე-

ლამ დაარსების 100 წლისთავი იზეიმა. **სის სრულყოფით, განათლების ხარისხის ზრდით, პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნით საუკეთესო სკოლის სახელი დაიმკვიდრონ და სამშობლოს აღზარდონ საუკეთესო ახალგაზრდა თაობა.**

**ნანა ბაკოშვილი,**  
წილკნის საჯარო სკოლის პედაგოგი



**მკითხველთა საჭურავდღებოდ!**  
გაზეთის გამოსაწერად მიმართეთ პრესის გავრცელების სააგენტოებს: „საქპრესა“ – გურამიშვილის გამზ. 64, ტელ.: (032) 2 518 518, „მაცნე“ – საირმის ქ. კორპ N 4, ტელ.: 2 14 74 22.

## მიმართვა

საჯარო და კერძო სკოლების, სხვა სასწავლო დაწესებულებების დირექტორებს, მასწავლებლებს!

**იაკოვ გომეზაშვილის** პედაგოგიურ იდეებზე დაფუძნებული მასწავლებელთა **85** წლის გაზეთი „სახალხო განათლება“ მუდამ იყო და არის განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების, მიღწევების მხარდამჭერ-გამაშუქებელი, პედაგოგთა მრჩეველ-მეგობარი.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: შამკინი ურნალისტებს სკოლებში არ გვიშვებდა (მოტივაცია გაუგებარია). მისი შიშით დირექტორები ინტერვუს არ გვაძლევდნენ, გაგვირბოდნენ. გაზეთის მუშაკთა მიმართ რატომღაც უნდობლობის განწყობილება სუფევდა.

სამწუხაროდ, ამისი ზოგიერთი რეციდივი აქა-იქ დღესაც შეინიშნება. ზოგიერთი დირექტორი თავს იკავებს, თუნდაც სასკოლო ბიბლიოთეკამ ერთი ეგზემპლარი მაინც გამოიწეროს გაზეთი, სადაც მათი და მათი მასწავლებლების ცხოვრება ასახული. მიზეზი? – აქაოდა, სამინისტროს გენინსპექცია ამას **არამიზნობრივ ხარვეზში** გვითვლისო (!)

რესურსცენტრის ხელმძღვანელები (უფრო რეგიონებში) პირდაპირ გვეუბნებიან, გამოვინერო, ოღონდ სამინისტროს ნებართვა მოგვიტანეთო. აი, ბატონებო, ნებართვა: „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2015 წლის 1 ივნისს შემოვიდა თქვენი განცხადება (რეგისტრაციის №444858), რომლითაც ითხოვთ მხარდაჭერას გაზეთ „სახალხო განათლება“-ის მიერ სასწავლო-აღზრდელობითი პროცესის გაშუქების მიზნით სკოლებში ვიზიტისა და თქვენი გაზეთის გამოწერის საკითხებში.

გაცნობებთ, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფო უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომიას. შესაბამისად, სკოლა უფლებამოსილია დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება აღნიშნულ აქტივობებთან დაკავშირებით.

ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ქეთევან გრიგოლია“.

ე. ი. სამინისტროს ნებართვა კი არა, დირექტორის სურვილი, იმისი გაცნობიერება ყოფილა მთავარი, რომ მასწავლებელს მისთვის მუშაობაში ხელისშემწყობი, საჭირო პედაგოგიურ-მეთოდური გაზეთი ჰქონდეს.

განათლების დარგის მუშაკებო, მოგმართავთ და გირჩევთ, გამოიწეროთ, იკითხოთ თქვენი გაზეთი „სახალხო განათლება“. იგი უთუოდ იქნება თქვენთვის საიმედო მრჩეველი და თანამდგომი.

სარედაქციო კოლექცია

აშენიანი სკოლა

# სიასტოვო მშობნობი და ავტოგოვნი ვასხარა



**ჩვენ** გაზეთის სტუმარია თბილისის მე-9 საჯარო სკოლის დირექტორი: **მარინე გიგაური**, რომელიც თავად გვიამბობს სკოლის წარმატებებსა თუ სიახლეებს.

– სკოლის დირექტორად, განათლების მინისტრის ბრძანებით, შარშან დავინიშნე. ამ ხნის მანძილზე სკოლაში ბევრი საინტერესო ღონისძიება განხორციელდა. პირველ რიგში მინდა აღვნიშნო, რომ ექიმის კაბინეტი გაიხსნა და გარემონტდა თავისი ინვენტარით. ასევე, მასწავლებლებს შევუქმენით უფრო უკეთესი სამუშაო გარემო, გავაფართოვეთ სამასწავლებლო, მოვანესრიგეთ ინფრასტრუქტურა


და შევიძინეთ შესაბამისი ინვენტარი. შარშან სკოლაში, ხშირად ტარდებოდა კვირეულები საგნებისა და კათედრების მიხედვით. მოსწავლეები ჩართულები იყვნენ სხვადასხვა ოლიმპიადებში და კონფერენციებში და მიღებული აქვთ შესაბამისი სერთიფიკატები. მინდა სიამაყით განვაცხადო, რომ ჩვენმა ბავშვებმა რაიონის მასშტაბით, ვიქტორინაში: „რა, სად, როდის“ პირველი ადგილი დაიმსახურეს და საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნებამ“ დააჯილდოვა ისინი. აგრეთვე, სკოლაში დავდგი სპექტაკლი „ვაჟას ლეგენდა“, ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით, სადაც მოსწავლეები მონაწილეობდნენ. მიხარია, რომ აღნიშნულმა სპექტაკლმა დიდი მონონება დაიმსახურა და პირველი ადგილი ხვდა წილად. ასევე, რესპუბლიკის მასშტაბით საუკეთესო ათეულში მოხვდით. მოსწავლეების დაჯილდოება მარჯანიშვილის სახელობის თეატრში გაიმართა. სპექტაკლისთვის ბავშვები შეარჩია რეჟისორმა და მასხიობმა **ჯარჯი შუქიაურმა**.

მიხარია, რომ ჩვენს სკოლას მიღებული აქვს მრავალი ჯილდო და მადლობის წერილები სხვადასხვა ორგანიზაციებიდან. ერთი სიტყვით, სკოლაში პროგრესი ნამდვილად შეიმჩნევა. ერთი წლის შედეგებით კმაყოფილი ვარ, თუმცა არის საკითხები, რომელზედაც მოგვიწევს მუშაობა. დიდი შემართებით შევხვდით ახალ სასწავლო წელს, სკოლაში გრძელდება სარემონტო სამუშაოების და ინფრასტრუქტურის განახლების პროცესი. სიახლე ის არის, რომ მეორე კლასელებს დაემატათ ახალი საგანი – ჭადრაკი, რომელსაც ორი წლის განმავლობაში შეისწავლიან. მეორე კლასში კი, ორი ვერცხლის მედალოსნობის კანდიდატი გვყავს.

სკოლაში გაგვეზარდა ბავშვთა რაოდენობა და ოთხი პარალელური კლასი გავხსენით. ადრე თუ იყო 661 მოსწავლე, ამჟამად, 740 ბავშვია.

სამწუხაროდ, ბევრ მსურველს უარი ვუთხარით, ინფრასტრუქტურის უქონლობის გამო. ასევე, სიახლეა ის, რომ სკოლაში შემოვიღეთ ფორმები – თეთრი პერანგები და შავი ქვედაბოლოები. ამ ფაქტით ძალიან კმაყოფილი არიან მშობლები და პედაგოგებიც.

მზია გომოქია



გიორგი ტყეშელაშვილი

## „დედა ენა“

წიგნი ჩვენი, ჩვენი დედა, ჩვენი ენა ქართული, ვაზრდაბაში ფურცელი, ჩვენს ყბობაში ჩართული! დედის ძუძუ მეთვე, სიყვარული ბიწველი, ჩვენს აკვანს შემთხვევადი მგალობელი ფრინველი. იაგანის ნიაგვი ჩვენს ყურთან რომ გაისმა, ყბობა რომ გვისუნწელა, როგორც ბაღი მასამა. ტკბილად რომ გავგინარა ჩვენ ბავშვობა ბერაგი - შავი კაბით გზრდილებს, გახუნებულ ლეჩაქით. ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა, ჩვენი ენა ქართული, თქმისხმის სიმებად გულში ამთხლართული.

თბილისის 167-ე საჯარო სკოლაში



**გვისაუბრებს ელენე ფუტკარაძე** (თბილისის 167-ე საჯარო სკოლის დირექტორი)

წელს უკეთ მოვემზადეთ ახალი სასწავლო წლისთვის, ვიდრე შარშან. გასახარელი სიახლეებით შევხვდით სექტემბერს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მოსწავლეთა კონტინენტის თვალსაჩინო ზრდა: წელს 5 პირველი კლასი გაიხსნა. ჩატარდა კაპიტალური რემონტი ხარისხიანად, 11 სასწავლო კაბინეტი კეთილმოეწყო, მოკლედ, სკოლის ინფრასტრუქტურა

წესრიგშია. მთავარი სკოლაში ხომ მაინც პედაგოგიური კადრებია, ამ მხრივ, როგორც იტყვიან, თავი ქუდში გვაქვს. 53 პედაგოგიდან ყველა მონოდების სიმალღეზეა, მაგრამ რჩეულებსაც რა გამოლევს. სკოლის მშენებელ ქართული ენა-ლიტერატურის დოქტორი, პედაგოგი **ლამარა გერგედავა**. ახალი სტატუსით მას წამყვან მასწავლებელს ეძახიან და ნამდვილად ასე არის. 20 პედაგოგი უფროსი მასწავლებლის სტატუსს ატარებს.

# წელს უხეთესად, ვიდრე შარშან

ყველა პედაგოგი ჩართულია პროფესიული განვითარების სქემაში და იმდღეებს კვალიფიკაციას.

მეამაყება ისეთი გამოცდილი, ენერგიული მოადგილის მხარდახარ მუშაობა, როგორც გახლავთ ისტორიის უფროსი მასწავლებელი **ლიანა ნიშნაიძე**.

სასწავლო პროცესის აქტივიზაციისა და სწავლების ხარისხის ამაღლებისთვის ზრუნავს 6 საგნობრივი კათედრა, რომელთაც შემოქმედი ხელმძღვანელები უძღვებიან: ქართული ენა-ლიტერატურის კათედრას – **ლამარა გერგედავა**, უცხოური ენებისას – **ლიანა მელაძე**, საზმცოდნეობისას – **დარეჯან გეგეშიძე**, საბუნებისმეტყველოს – **ნონა ანთიძე**, მათემატიკისას – **ნონა ბერიძე**, დაწყებითი განათლებისას – **ბელა ნავდარაშვილი**.

ძალიან გვახარებს ის ფაქტი, რომ 5 ოქტომბერი – მასწავლებლის დღე მოგვილოცეს განათლების მინისტრმა **თამარ**

**სანიკიძე** და პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ლარიაშვილმა**, მათ პედაგოგებზე მეტი ზრუნვის, ხელფასების საგრძობლად გაზრდის მზადყოფნა დაგვიდასტურეს.

სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეობს ენერგიული, ახალგაზრდა პედაგოგი **ბელა ნავდარაშვილი**.

ჩვენი სკოლა ყველა სიახლის მხარდამჭერი და ცხოვრებაში გამტარებელია. 2015 წლის მაისიდან ჩართული ვართ საერთაშორისო GPRIED-ის პროექტში, რომელშიც საქართველოს 587 სკოლა მონაწილეობს. შემოქმედებითი თანამშრომლობა, გამოცდილების ურთიერთგაზიარება გვაკავშირებს თბილისის 71-ე, 173-ე და თიანეთის მუნიციპალიტეტის სიონის საჯარო სკოლებთან.

სწავლების ხარისხის ამაღლებას დიდად უწყობს ხელს საინტერესოდ გაშლილი საწრეო მუშაობა, სადაც აქტიურად არიან

ჩართული ჩვენი მოსწავლეები. მეტად პოპულარულია: ცეკვის (ხელმძღვანელი **ნინო დარახველიძე**), კარატეს (გიორგი **მამისაშვილი**), უშუს (გიორგი **ვერულიძე**), ხელოვნების (ნინო **მოდრეკილაძე**) და ლიტერატურის (ლელა **მესხი**) წრეები.


მაღალია სკოლის მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო-შემოქმედებით ოლიმპიადებსა და კონკურსებში, როგორცაა „ევერესტი“, „შერლოკი“ და სხვა. გამარჯვებულებს იმდენი დიპლომი და სერთიფიკატი აქვთ მოპოვებული, აქ ვერ ჩამოვთვლით.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ყველა ინიციატივასა და სიახლეს ჩვენი მასწავლებლები მხარს უბამენ და მაღალ შედეგებზე არიან ორიენტირებულნი.

ესაუბრა ზორის ხარაბაძა

ნუგზარ აფხაზავა — 80

გაგულისა და პრაქტიკული მუშის მსახური



ისეთი კოლორიტული პიროვნებას, ორიგინალური ხელნერის მწერალს, როგორც ნუგზარ აფხაზავა იყო, ტრაფარეტულ წერილს, ავტობიოგრაფიულიდან ქრონოლოგიურ ჩამონათვალს ვერ შევკადრებთ. იგი გახლდათ მრავალმხრივი მოღვაწე: პროზაიკოსი, პოეტი, ჟურნალისტი, პედაგოგი, სხვა მისაბაძი, ვაჟაყფაძის თვისებებით შემკული ადამიანი. ჰოდა, ამ საიუბილეო დღეებში, გვინდა, მისი სახე-პორტრეტი და პიროვნული თვისებები კოლეგების, მეგობრების, პედაგოგების, ჟურნალისტების მოგონებებიდან, ასევე მაშინდელი პერიოდიკის მასალებიდან გამოვძეგროთ. მან სკოლის ოქროს მედლით დასრულების შემდეგ (1953 წ.) ორი უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა: იმდროინდელი პოლიტექნიკური და პედაგოგიური ინსტიტუტები. ხანგრძლივი დროის განმავლობაში „გიპროსვიაში“ გეოლოგიად იმუშავა. სატელეფონო ქსელის მოპვინა შორეული ციფირი თუ შუაზღვის ბარხანებიანი უდაბნოები. მაინც მწერლობა სულმა და ჟურნალისტიკამ სძლია და აქ უფრო დაიმკვიდრა სიყვარულით გარემოცული ადგილი. აი, თუნდაც, ამ დღეებში ნიჭიერმა ჟურნალისტმა მზია გოგოძემ თავისი დამოკიდებულება მწერლის მიმართ ასე გამოხატა: „კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს...“ ძალაუფლებიდან გამახსენდა, როცა ნუგზარ აფხაზავას მოსაგონებელი წერილის წერა დაევიწყე. იგი ძალიან დააკლდა თბილისს, ქართულ მწერლობას, ჟურნალისტიკას, კოლეგებს, ოჯახს, მეგობრებს... მას წელს 80 წელი შეუსრულდებოდა. ბატონი ნუგზარი „ასავალ-დასავალის“ რედაქციაში გავიცანი. მაშინ, ჯერ კიდევ ახალბედა ჟურნალისტმა, გაზეთში სტატია მივიტანე. მან მასალა ჩაასწორა და ისე ტაქტიანად მომცა შენიშვნა, არ მწყენია, თავისი წიგნიც მისახსოვრა. არ მავიწყდება მისი გულსხმიერი და თბილი დამოკიდებულება. მუდამ ღმილით მხვდებოდა და როგორც უფროსი კოლეგა, რჩევა-დარიგებასაც მადლეოდა.“ ნუგზარ აფხაზავას პიროვნება და შემოქმედება ღირსეულად შეაფასა სახელოვანი კრიტიკოსის თამაზ წიგნიაძის გაზეთში „ლიტერატურულმა საქართველომ“ (24.06. 2005), რომელმაც მწერლის 70 წლის იუბილეს ვრცელი ადგილი დაუთმო: „ნუგზარ აფხაზავა უმთავრესად ბავშვებისთვის, მოსწავლე ახალგაზრდობისთვის წერდა. მისი საყმაწვილო მოთხრობები სიკეთეს, პატიოსნებასა და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულს უწერდა და მომავალ თაობას. ათეული წლები ჟურნალ „ნაკადულის“ პასუხისმგებელი მდივანი იყო... ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი სამეცნიერო-ფანტასტიკური შემოქმედება... კრებულები: „მოსხვილულ სკაფანდრები“, „შხეების წერილი“, „სეტყვა და ქვა“, „მზის დესპანი“, „მსტოვარი“... მრავალფეროვანი იყო მისი ჟურნალისტიკური საქმიანობა. ჟურნალ-გაზეთებში სისტემატურად იბეჭდებოდა მწერლის მხატვრული ნარკვევები, კრიტიკული წერილები, რეცენზიები, ვარიაციები სხვადასხვა თემაზე... ნუგზარ აფხაზავა გაზეთ „ასავალ-დასავალს“ და ჟურნალ „თბილისელებში“ ნაყოფიერად მოღვაწეობდა... იყო ქართული ენის დიდი ქომავი და სწორუბოვარი სტილისტი.“ აქვე ნუგზარ აფხაზავას ნათელ ხსოვნას სიყვარულით გათბარი წერილები უძღვენს მწერლებმა: ანზორ აბულაშვილმა — „დაგვიანებული სამიშობარი“, მზია ჩხეტიანმა — „განუკითხავი ვინმეა სიკვდილი“, ემზარ კვიციანი — „კეთილად მოსაგონებელი“, საიდანაც მცირე ამონარიდი გვინდა შევთავაზოთ მკითხველს: „ამ ცოტა ხნის წინათ, ერთი გარდაცვლილი ღირსეული კაცის, კარგი მწერლისა და მოქალაქის ნუგზარ აფხაზავას სახე დამიდგა თვალწინ... ტყუილად არ მომლანდებია ძვირფასი ნუგზარი. თურმე დაბადებიდან 70 წელი უსრულდებოდა. იმ გახსენებისას დავენერე კაცის მონატრების ორსტროფიანი ლექსი „მოყვასი“: „დალ-დასმული, დაღრემილი, აღმადამა დავალ, აღარ მხვდება კაი კაცი — ნუგზარ აფხაზავა. სიკეთე და სიბოძი მისი ვიცი, დიდხანს გასტანს, შეხვედრა და გახუმრება მომენატრა მასთან.“ „ლიტერატურული საქართველოს“ ამავდროულად, საიუბილეო გვერდზე წარმოდგენილია ბატონი ნუგზარისადმი მიძღვნილი მისი მეუღლის ცნობილი პედაგოგისა და პოეტის მერი აფხაზავას ლექსი „ფიქრი“, რომელიც მიძღვნილია ჟანრის კლასიკური ნიმუშია. აი, ერთი სტროფი: „ვინ იცის, რას არ ვფიქრობ, დედაზე, ძმაზე, შვილზე, მამაზე, წლებზე, მზეზე, ყველაზე მეტად — შენზე“... აქვე გვინდა ნუგზარ აფხაზავას შემოქმედებიდან რამდენიმე, ყველაზე გამორჩეული ნიგნი და მოთხრობა შევასხენოთ მკითხველს: „წყალობის დღე“, „სხვისი საქმე“, „მკაცრი სამხილი“, „მოთხრობები“, „უმცროსი კოსმონავტი“, „ბერის სიკვდილი“, „ბადრი ბეჟარის დაბადების დღე“, „მეორედ მოსვლა“ და სხვა. ზემოთ ვთქვი: ბატონი ნუგზარი დიდი პედაგოგი იყო. აი, რას წერს იმ ხანებში ნუგზარისადმი მიძღვნილი წერილში „მუზ-

ისთვის ბოლომდე დახარჯული“ პედაგოგი და ჟურნალისტი ბორის მიშველაძე: „მრავალმხრივი ნიჭისი, ვთქვით. დიას, იგი გამორჩეული ხელნერის პროზაიკოსიც იყო და პოეტიც, ჟურნალისტიცა და პედაგოგიც. პედაგოგიო?! ნუ გაიოცებთ. მისი საყმაწვილო ნაწარმოებები ზრდიდა მოსწავლე ახალგაზრდობას მამულის, ენის, სარწმუნოების, მშობელი ხალხის, ჩვენი ტურფა საქართველოს სიყვარულით. მოსწავლეთა ჟურნალებში დაირჩა მისი მუშის აკვანი. ჟურნალებს: „პიონერს“, „დილას“, „ნაკადულს“ უდიდესი წვლილი მიუძღვის თაობების აღზრდაში. აქ იბეჭდებოდა ნუგზარის საუკეთესო საბავშვო ნაწარმოებები. თუნდაც ბავშვების საყვარელი მოთხრობის „იუნგა, ცეცხლის!“ გახსენება რად ღირს?“ უფრო მეტსაც გეტყვი: ბატონი ნუგზარი თავად იყო ჩინებულ პრაქტიკოსი მასწავლებელი. გაკვეთილებს ატარებდა თბილისის 149-ე, 42-ე და სხვა სკოლებში. აი, როგორ იგონებს ძვირფასი კოლეგა 149-ე საჯარო სკოლის სახელოვანი პედაგოგი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა კათედრის თავმჯდომარე უფუნა პაპაშვილი: „მე ორსამჯერ მომიხდა გაკვეთილების ჩატარება იმ კლასში, რომელსაც ნუგზარ აფხაზავა ასწავლიდა და ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შემძლია ვთქვა, რომ გამაოცა მოსწავლეთა უაღრესად სერიოზულმა დამოკიდებულებამ საგნის მიმართ, რაც არ შეიძლებოდა, დაკვირვებულ პედაგოგს არ შეემჩნია... იგი იგნებდა დარჩა ჩვენს ცხოვრებაში. დარჩა კაცურკაცობის ეტალონად. მემამყება, რომ მას ვიცნობდი, მის გვერდით ვმუშაობდი და ახლო ურთიერთობა მქონდა ამ ღრმად ერუდირებულ და კეთილშობილ პიროვნებასთან. ბატონი ნუგზარი პედაგოგიური ოჯახის წევრიც იყო. მისი მეუღლე, ღვანდომისილი, პროფესიონალი პედაგოგი, ნაძალადევის რაიონში მეთოდური კაბინეტის ალაირებული გამგე, შემდეგ 149-ე საჯარო სკოლის დირექტორი, სკოლა-გიმნაზია „გორდას“ დამფუძნებელი და დირექტორი, მერი აფხაზავა, მუდამ იყო და ახლაც არის მასწავლებელთა მასწავლებელი, მასწავლებლობის ეტალონი. მერისა და ნუგზარის ურთიერთობა ოჯახური ერთგულებისა და სიყვარულის ეტალონიც იყო. საოცარი იყო მათი პიროვნული თვისებების, ხასიათების თანხვედრა: ორივე გემოვნებიანი პოეტი გახლავთ. ღირსეული, სასახელო შვილები და შვილიშვილები აღუზარდეს სამშობლოს. სხვა საუკეთესო თვისებებითაც იყო შემკული ბატონი ნუგზარი: წარმოსადგეი მზეჭაბუკი — მუდამ სითბოსა და სიყვარულს აშუქებდა, სამართლიანი, პრინციპული, რაინდი, სიკეთისმთესველი, კეთილთა გულში ჩამხუტებული და უკეთურთა რისხვა. ამდენ ნაღვან-ნაამაგარს სურდა, ძალიან უნდოდა თავის შვილებსა და შვილიშვილებში ენებოვრა, „მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა?

თაფლში ურევს მწარე ნაღველს, მტრისას მისი გამოცანა!“ ადრე წავიდა. 2003 წელს გარდაიცვალა. ყველას წინაშე ვალმოხდილი მწერალი, ჟურნალისტი, პედაგოგი, მამა, მეუღლე, ბაბუა, 80 წლის ნიგზარ აფხაზავა დღეს უკვდავების ბინადარია. მუდამ ნათელში იყოს მისი სული.

დეიშურ კალანდაძე, განათლების სისტემის ღვანდომისილი მუშაკი, თბილისის 48-ე და 112-ე საჯარო სკოლების ყოფილი დირექტორი, ნაძალადევის რაიონის განათლების განყოფილების ყოფილი გამგე

ორი ლექსი ნუგზარ აფხაზავას არქივიდან ხსენილი ნაცვრც

სამაბრძოლესით მლთცველი ვარ ასე ახდენილი მწველი ნატვრის: მძაფრ ბედნიერებად მომცემიან ჩემი ფიქრია და ჩემი რატი. მათ ეს სახელები ძველქართული განა ჰაიბაბად აფუჩნი: სული — მეტანივით შემართული, გული — ქართველუბი გავუჩნი. ზეცამ ფთლადუბი მისცა წითობა და მზემ დახანთლა ცვიდან სითბო. ვნატობ: ერთს შეეძლოს თამბობა, ხოლო მეორემ კი — იდავითს. ყოველ მოქმედებას კარხანობდეს დედა-საქართველოს სვე და ბედი. მინდა: ერთს მიახს ცეცხლი შქმნდეს, ხოლო მეორეს კი — ცოტენეს ქედი. დიდი წინაბაბი ასახელონ, მისი ნაღვანევი ათათან, რომ ამიერიდან საქართველოს მსხვერპლი არ დასჭირდეს პაატასი... სამაბრძოლესით მლთცველი ვარ ასე ახდენილი მწველი ნატვრის: მძაფრ ბედნიერებად მომცემიან ჩემი ფიქრია და ჩემი რატი. ჩემს შვილიშვილს მწმენას გული მაინც ვანდე, სატანათა ვდიე გუნდი: ხელმეორედ დავიბადე — შენს სხეულში განგსხეული. — ხდება რადაც საარაკო — მეძახიან ისე მთები! შენი ერთ ვლამბაკობ, შენი თვალით ვხედები! ახალ გეგმებს ვაგებ მძივად — დავიფიწყე ნამძივარი. გასატვრად მწმედ მტკივა ყველა შენი სატკივარი. შენ მოგიძღვნე, რაც მებადა, და საამო ვიფრქე შეება... ჩემთვის უკვე დამდება და შენ კი ახლა ვითენდება. თუმცა წმინდად მწმენი მედგა, იმედს აღარ ვეძალე: შენ დალამქრთ უნდა ჩემგან დაუბყრბო მწვერვალები! ხარ ამ სისხლის მონაგარი, ჰოდა, მომკე, ვით წესია, ის, რაც მე ვერ მოვასწარი, რა სიკეთეც მითესია!

# „იზარდა, მწვანე ჯიჯილო,

თბილისის 43-ე ბაგა-ბაღი

## პაციენტს თ. როგორ მიუხარიათ?!



ცაროდენების ეს ჯადოსნური სამყარო გამოირჩევა თავისი ესთეტიკურობით, პატარებზე მზრუნველობით, აღმზრდელთა ძლიერი გუნდით. აქ ინრობა პანიების სული, ყალიბდება მათი გონება, იკვალება საზოგადოებაში დამკვიდრების გზები. აქ ყველა კუთხესა და კუნჭულში იგრძნობა პატარებისადმი სითბო და სიყვარული.

ბაღს სათავეში უდგას საკმაოდ ენერგიული და გამოცდილი პედაგოგი ქეთევან ბერიანიძე. იგი, უკვე რვა წელიწადია ბაღის დირექტორია, თუმცა, მანამდე ხელმძღვანელობდა კერძო სკოლა „მთიებს“, ასევე, ლექციებს კითხულობდა თსუ-ში. ჰყავს მეუღლე და 5 ვაჟი. ამჟამად, ორი შვილიშვილის მოლოდინშია.

საგულისხმოა, რომ ქალბატონი ქეთევანის მოსვლის დღიდან, ბაღში ბევრი რამ გაკეთდა, მანამდე, თუ 5 ჯგუფი იყო, ახლა მათი რიცხვი თერთმეტია. ადრე თუ 100 ბავშვი იყო მაქსიმუმი, ახლა 438-მდე ავიდა. შარშან, 120 ბავშვი გააცილეს სკოლაში. წლეულს 30 პატარა მიიღეს ბაგაში, ხოლო ბაღის ასაკისაა – 70.

აღსანიშნავია, რომ ბაგა-ბაღის შენობა წლების წინათ მთლიანად

ამორტიზებული იყო, ახლა კი გარემონტებულია. კეთილმოწყობილია საბავშვო ოთახები, დარბაზი, სველი წერტილები, სამზარეულო და ეზოც მოწესრიგებულია. გამოიცვალა შენობის სახურავი, დამონტაჟდა ცენტრალური გათბობა. საინტერესოდ აქვთ მორთული დერეფნები. პატარებს ძალიან მიმზიდველ და საინტერესო გარემოში უწევთ ყოფნა, სწავლა და თამაში.

ბაღის ხელმძღვანელობას მხარში უდგას თბილისის მერიის ბაგა-ბაღების სააგენტოს უფროსი თემურ თორდინაძე. ახლახან, სააგენტომ შენობას გაუკეთა ღობე და სულ მალე, პატარებს ბაღნარ ეზოში ექნებათ ლამაზი ატრაქციონები.

აღსანიშნავია, რომ ბაღის ადმინისტრაცია საქმიანობს გუნდური მუშაობის პრინციპით. აქ ერთ მუშტად არიან შეკრულნი და საოცარი მეგობრული ატმოსფერო სუფევს. თითოეული თანამშრომელი მუხლჩაუხრელად შრომობს და ზრუნავს მომავალი თაობის აღზრდაზე.

გაგაცნობთ შემოქმედებითად მოღვაწე თანამშრომლებს, ესენია: სასწავლო ნაწილის გამგე ლიდა სამნიძე, ფსიქოლოგი ლამარა ჯიჯაშვილი, საქმის მწარმოებელი ნანა ქურდაძე, სპეცპედაგოგი ეკატერინე ბიბილაშვილი, ლოგოპედი მანანა სალამოვა, დირექტორის მოადგილე საგანმანათლებლო პროგრამების კორდინატორია ქეთევან ჩაჩანიძე. მეთოდისტი ხათუნა კობერიძე ახალგაზრდა პერსპექტიული კადრია და შესანიშნავად უძღვება მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

პატარებს თავს ევლებიან აღმზრდელები: მანანა ბერუაშვილი, მარინე ქავთარაძე, თამარ ჩაჩანიძე, მარინა ედიშერაშვილი, ნინო ლვინიაშვილი, ელენორა ტალიკაშვილი, ნანი სიჭინავა, მზევინარ ედიშერაშვილი, ეკა მისურაძე, მაყვალა კობერიძე და

რუსუდან მიქელაძე. ცეროდენებზე განსაკუთრებით ზრუნავენ აღმზრდელის თანამშენებელი: ნათია ბერუაშვილი, მანანა სოლომონიშვილი, ნორა ზირაქიშვილი, მზია ხუციშვილი, მარინე ებიტაშვილი, ირმა მურჯიკელი, დოდო მთავრიშვილი-ნარიშანიძე, მაია თურქაძე, ფიქრია გიორგაძე, ნინო ლომიშვილი, დალი ლეიაშვილი, ლილი ტატუაშვილი, თამილა ურიდია-აფციაური, ქეთევან ელიზბარიძე, ირინე გაგნიძე, ნინო მუჯირიშვილი, ანუსია ოქრუაშვილი, ნინო ყირიმლიშვილი, ნუნუ კაცაძე და სხვა თანამშრომლები, რომელთაც, სამწუხაროდ, ვერ ჩამოვთვლით და გვაპატიონ.

აღსაზრდელებისთვის სანიტარული ნორმები ზედმიწევნით კარგად არის დაცული. პატარების სისუფთავეს და კვების საკითხს არეგულირებს ჯანმრთელობის და ჰიგიენური უზ-



რუნველყოფის კოორდინატორი ელზა მანჯგალაძე, რომელიც არის გამოცდილი პედიატრი, მედიცინის დოქტორი. ქალბატონ ელზას, ძირითადად, ბავშვების ჯანმრთელობა აბარია და მშობლებიც მშვიდად არიან, როცა მათ ასეთი მაღალკვალიფიციური ექიმი ემსახურებათ. ასევე დადებ-



ითად აფასებენ ექიმის თანამშენის ინგა მჟავიას საქმიანობას. პატარების კვება კალორიულია და მენიუც მრავალფეროვანია.

მათ ემსახურებათ ძალიან კარგი მზარეული: ეკატერინე ქოქიაური და მისი თანამშენები: ნანა ავკოფაშვილი და ჯულიეტა ბერიძე.

ქალბატონი ქეთევანის თქმით, ბაღში, მეთოდოლოგიის თვალსაზრისითაც კარგი მდგომარეობაა. დედაქალაქის სკოლამდელი აღზრდის საკითხებში ბაღი აქტიურადაა ჩართული. ასევე, ხორციელდება ინკლუზიური პროგრამა, რომელიც განსაკუთრებული საჭიროების ბავშვებისთვისაა განკუთვნილი. აქ დედობრივი დამოკიდებულება აშკარად იგრძნობა ასეთი ტიპის ბავშვების მიმართ. დამონტაჟებულია პანდუსი, სმენადაქვეითებული პატარებისთვის კი, სპეციალური ლიტერატურაც შეიძინეს.

დაგვაჯილდოვეს. პატარების ცხოვრებას უფრო საინტერესოს ხდის ის ღონისძიებები და ღია გაკვეთილები, რომელიც ბაღში იმართება... თუმცა, შეიცვალა მიდგომა ზემებთან დაკავშირებით, ის არ არის სტანდარტული. აქაური მესვეურები ცდილობენ გაითვალისწინონ პატარების სურვილი და მოთხოვნა, რათა ცეკვა ან სიმღერა არ იყოს ძალდატანებითი... აღმზრდელები ხშირად მართავენ გასვლით ღონისძიებებს გასართობ ცენტრებში.

ბავშვების მუსიკალურ განათლებაზე ზრუნავს მაკა კობახიძე. პატარებს ცეკვას ასწავლის ნანული გრიშაშვილი. ბაღში განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობა ეროვნულ ცეკვას. ეს კი დირექტორის დამსახურებაა, რადგანაც წარსულში თავად მოცეკვავე გახლდათ. აღნიშნულ ბაღში ხელოვნების ყველა დარგს ჰყავს პერსპექტიული აღმზრდელი.

ბაღი მთლიანად შევსებულია და ამ ეტაპზე, მსურველების 300 განცხადებაა შეტანილი დირექტორის სახელზე. ბაღი ლოტიკინის გარდა ემსახურება ივერთ უბანს, რეხას, საწერგე მეურნეობას, მახათის მოსახლეობას. როგორც დირექტორმა აღნიშნა, ამჟამად, ორი ოთახი არის გასარემონტებელი და შემდეგ, კიდევ ორი ჯგუფი დაემატებათ.

ის პატარები, რომლებიც ასაკის გამო ვერ მიიღეს სკოლებმა, ისევ ბაღს დაუბრუნდნენ. მეთოდისტებს ტრენინგებს უტარებენ, რათა ეს ბავშვები სკოლისთვის უკეთ მოამზადონ.

პედაგოგიური კოლექტივი და ადმინისტრაცია მადლობას უხდის თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტოს უფროსს თემურ თორდინაძეს განუყოფელი დახმარებისთვის და ყურადღებისთვის.

მზია გომოქია

### გამარჯობათ, 56-ე ბაგა-ბაღელეპო!

## ღრმობრივი მზტუნეულთმა ატ მთგაკლრებათ

თბილისის 56-ე ბაგა-ბაღი დაარსებიდან ნახევარ საუკუნეს ითვლის. ნაძალადევი, კინო „საქართველოს“ გვერდით გაიხსნა იგი. პირველი გამგე გახლავთ ლვანტომოსილი პედაგოგი უწყუნა სიორიძე.

ოც წელზე მეტია კოლექტივს სათავეში უდგას დაულა-

ლავი, საქმისადმი ერთგულებით გამორჩეული დირექტორი მზია ჯიბლაძე.

2002 წლის მინისტრამ ბაღის შენობა საგრძნობლად დააზიანა.

და აი, 2014 წლის აგვისტოში თბილისის ახალი მერის დავით ნარმანიასა და ბაღების

მართვის სააგენტოს უფროსის თემურ თორდინაძეს უდიდესი ძალისხმევით დათქმულ ვადებში ჩატარდა აღზრდის ამ კერის ხარისხიანი რეაბილიტაცია.

შენობას დაემატა ორი სააღმზრდელო ჯგუფი, ინფრასტრუქტურა ევროპული სტანდარტებით მოწესრიგებუ-

### შენვადრა თემურ თორდინაძესთან



ლია.. ეზოში მიმდინარეობს ასფალტის საფარის და ბორდიურების დაგება. საგრძნობლად გაუმჯობესდა

კვება. კალორია 1000-1200-დან გაიზარდა 1581-მდე. მოემატა პროდუქტების ნორმები. აღსაზრდელები ვერც კი აუდიან ყველაფრის მირთმევას.

# დაპურდი, გახდი ყანაო!

სასწავლო წლის დაწყება



თბილისის ყველა სკოლაში დიდი დანერგვა უკვე 4 წელია მუშაობს ახალი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროგრამით, რომელიც ეფუძნება

ბის სტანდარტებს. მეთოდოლოგიად გამოყენებულია თემატური სწავლება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე და ეფექტური



ბა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ შემუშავებულ 0-6 წლამდე ბავშვის განვითარების

მოდელი. პროგრამაში შესული თემები და აქტივობები, ბავშვის სოციალური და ემოციური კომპეტენტურობის ზრდას უწყობს ხელს.

ახალი 2015-2016 სასწავლო წლიდან დაიწყო 5-6 წლამდე ასაკის ბავშვებთან მუშაობა ახალი „სასკოლო მზაობის პროგრამით“, რომელიც წარმოადგენს საპილოტე ვერსიას. პროგრამის მეორე სახელწოდებაა „თამაში“, შექმნილია ხალისიანი, მრავალფეროვანი გარემო, რითაც ხდება სასკოლო ასაკის ბავშვის უნარების განვითარება ყველა სფეროში, მათ შორის, სააზროვნო და თანამშრომლობის უნარებისა.

ყველაფერი ეს მიიღწევა გამოცდილი, ენთუზიასტი აღმზრდელებისა და სხვა თანამშრომლების თავდადებად შრომით.

დირექტორის მოადგილე თეა მაკალათია, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი მეცნიერებათა კანდიდატი ციციო ციციშვილი, ფსიქოლოგი მანანა გეგეჭკორი, ლოგოპედი დალი მარუაშვილი, სამნეო ნაწილის კოორდინატორი ნინო კობახიძე-ხიდუშელი, ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორი ლელა პირტახია, საქმისმწარმოებელი მაია ოდიშელი საუკეთესო დირექციის გუნდს ქმნიან თავიანთი კომპეტენტურობით, პროფესიონალიზმით, საქმისადმი ერთგულებით.

აღმზრდელები: ლალი ამისულაშვილი, თიკო ლომოური, დალი ერადე-ნანიტაშვილი, მანანა ბახტაძე, ლილა კობახიძე, ნუნუ მაისურაძე, მარინე ედიშერაშვილი, ქეთევან გოცირიძე, ნანა არჩუაძე, ნინო დიჯაშვილი, ლამარა გოგინაშვილი



მზია ჯიბლაძე-ლაპიტი ნარმანიას, ზაზა კოლელიძის, თეიმურაზ ტორდინაშას მასპინძელი

ლი, მუსიკის მასწავლებელი ნანა ლომიძე, ჩვეულებრივად და წლების უძვირფასესი გამოცდილებით მუშაობენ ხალ-

გებზე ორიენტირებული. განსაკუთრებული შრომა და გარჯა შეექმნათ წელს მზარეულებს გამდიდრებული, მრავალ-

მიცადინეოა



ისით და სამსახურობრივი პასუხისმგებლობით.

აღსანიშნავია აღმზრდელების ნატო ნიშნისა და თამარ ბულია-მარშვას და აღმზრდელის თანამშემშენების ნატალია ყორულიანის, თეა ბუკიას მუდმივი

ფეროვანი მენიუს გამო. მზარეულები მყავდა განერული, დარეჯან ურიადმოფელი, „გემრიელად“, ყველა სანიტარული ნორმის დაცვით, მუხლჩაუხრებლად ახორციელებენ აღსაზრდელების კვებას ეკოლოგიურად სუფთა კერძებით.

ქალაქში ერთ-ერთი ყველაზე მოვლილი ეზოს სტატუსს ბალი მებაღე ტარიელ პეტრიაშვილის დამსახურებით ატარებს. მიმდინარე რემონტის მუშა მალხაზ თედიაშვილი კი ხელმარჯვე ოსტატადაა ცნობილი.

მიუხედავად ერთი წლის განმავლობაში ახალი ხელისუფლების მიერ აშენებული ექვსი ახალი ბაღისა, ბაღების უმრავლესობის მთავარ პრობლემად მაინც რჩება აღსაზრდელო სიმრავლე სააღმზრდელო ჯგუფებში. ეს კი ყველა სფეროში ქმნის გარკვეულ სირთულეებს.

გვერდით, მომავალ სასწავლო წელს დაგეგმილი კიდევ ათი ახალი ბაღის მშენებლობა ამ პრობლემას მოაგვარებს.

ბაგა-ბაღის ყველა თანამშრომელს გამობრძმედილი დირექტორის, მზია ჯიბლაძის ხელმძღვანელობით ბედნიერებას და დიდ წარმატებებს ვუსურვებთ.

რომან მოსაჰვილი



აღმზრდელები მშობლებთან

## აური და ზაური (აურ-ზაური)

# უფლებების შეღახვა

**ლიბერალიზმი** ყვირიან: „უფლებები!“ „უფლებების შეღახვა!“ ერთხელ მაინც თუ ნამოცდებათ სიტყვა „მოვალეობა“. მე! მე! მე! მარტო უფლებები? უფლებების ძმა არის მოვალეობა, პასუხისმგებლობა სხვის მიმართ.

ცოტა ბრძენკაცსაც მოუხსმინოთ: „არ შეიძლება ცხოვრობდე საზოგადოებაში და აბსოლუტურად თავისუფალი იყო მისგან“.

\*\*\*  
**დიდება** მოთმინებასა შენსა, პედაგოგ ქიტესო“

\*\*\*  
**არ** მომნონს „ასავალ-დასავა-

ლის“ რუბრიკა „დინამომეტრი“, ბევრი არაფრისმომცემია.

## ვის როგორ ესმის ინტეგრაცია

ლექსიკონის მიხედვით ინტეგრაცია შერწყმას ნიშნავს. იოვანე საბანისძეს იგი ასე ესმოდა: „ალევირინი ერსა უცხოა, რამეთუ ქართველი ამისგან განილევიან... ირწვევიან ვითარცა ლელნამი ქართავან ძლიერთა“.

\*\*\*  
**გია ხუბაშვილი** აქო და აქო პრეზიდენტი. ამდენს რატომ

ადიდებთო და ჩემი მეგობარიო, ათი წელი ერთად ვიმუშავებო.

## ჯანსუღ „კალცელქსები“

„ქართულ სიტყვაში“ მშვენიერი მწვავე სხარტულები იბეჭდებოდა ჯანსუღისა რუბრიკით „კალცელქსები“. შემდეგ რატომღაც რუბრიკა შეიცვალა. ღმერთმანი პირველი ჯობდა: კალცელქსი სამკურნალო ტაბლეტებია, კალცელქსი კიდევ უკეთესია.

პაროდისტი  
**მოსა მენარალი**

სწრაფვა გაიარონ ყველა თრეინგი, გაუზიარონ კოლეგებს გამოცდილება და დანერგონ სიასხეები პრაქტიკაში.

აღმზრდელის თანამშემშენები: მერი კაპანაძე, მანანა სიხარულიძე, თამარ ქამხაძე, ლია ნეფარიძე, ნანა საბაშვილი, სათუნა ბინაძე, დამლაგებელი ინა ოსიპოვა იუმორნარევი საქციელით უმკლავდებიან ყოველდღიურ დაღლილობას. მათი შრომა არის მაღალ შედე-



გამარჯობათ, 158-ე გაზეთ-გაზეთი!

# ჩვენი ბავშვი ჩვენი სხედია



**ცეროდეანების** ამ ზღაპრულ სამყაროში მერიის და ბაგა-ბაღების სააგენტოს მიერ დაგეგმილია, დაიგვას დიდი ბავშვთა გასართობი ატრაქციონი.

გემოვნებით და საინტერესოდ გაფორმებული დერეფნები და ოთახები, მიგვანიშნებს იმაზე, რომ ბაგა-ბაღს მზრუნველი და საქმეზე უზომოდ შეყვარებული ხელმძღვანელობა ჰყავს. ლამაზად და ესთეტიკურად მოხატული დერეფნები ქმნის შთაბეჭდილებას, რომ აქ პატარებზე ზრუნავენ, ფიქრობენ, დარდობენ და რომ აძლევენ ყველაფერს, რაც პატარებს სჭირდებათ სულიერი საზრდოს სახით.

ბაგა-ბაღს ხელმძღვანელობს გამოცდილი, გულისხმიერი და საქმიანადმი თავდადებული ქალბატონი, **გიული გორგოძე**, რომელსაც 43 წლის პედაგოგიური მუშაობის სტაჟი აქვს. გამოცდილ პედაგოგს ჩაბარებული აქვს საკანდიდატო მინიმუმი. 2007 წლიდან ამ ბაგა-ბაღის დირექტორია.

დირექტორის მოადგილე **ლია კუკულაძე** აქტიურად არის ჩართული საერთო საქმეში და მოვალეობას დიდი წარმატებით და ხალხის ართმევს თავს.

ცუგრუმელებს თავს ევლებიან, დიდ სიტბოს და სიყვარულს უნაწილებენ აღმზ-



რდებები, მათი თანაშემწეები. ესენია: ქეთევან ქავთარაძე, ქეთევან ნინოძე, სოფიკო ქარქაშაძე, მარიამ ხუციშვილი, მხეპალა ბალანჩივაძე, მეგი ქარჩაიძე, თეა ვარდოსანიძე. თანაშემწეები: ნუნუ პაპიძე, სათუნა დამენია, ნინო კუხალაშვილი და დარეჯან მერებაშვილი. ეს კვალიფიცირებული პედაგოგთა გუნდი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ აღზარდოს ჯანმრთელი და ჯანსაღი მომავალი თაობა, რომელიც ჩაიბარებს საქართველოს მომავალს.

ბავშვი განთავსებულია საუკეთესო მეთოდკაბინეტი. ბავშვი ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, ბავშვები უზრუნველყოფილი არიან მრავალფეროვანი სათამაშოებით ასაკის მიხედვით. ყველა ჯგუფში ჩამოყალიბებულია აქტივობის ცენტრები, სადაც მიმდინარეობს მეთოდური სამუშაოები სტანდარტების მიხედვით. ხშირად ტარდება ღია აქტივობები ჯგუფში, რომელსაც ესწრებიან აღმზრდელებიც და მშობლებიც.

ბავშვი შექმნილია მშობელთა კუთხე, სადაც საინტერესოდ აისახება ბაგა-ბაღის ცხოვრება.

საბავშვო ბაღის აღსაზრდელები აქტიურად არიან ჩაბმული სხვადასხვა შიდა თუ რაიონულ კულტურულ ღონისძიებებში. მათ მიერ მომზადებული და წარმოდგენილი სანახაობები, ლექსები, სიმღერები, სკეტჩები თუ ცეკვები, ყოველთვის იმსახურებს მაღალ შეფასებებს და ამიტომაც ხშირადაც ღებულავენ სიგელებს, თუ სხვადასხვა ჯილდოებს, რითაც ამაყობენ ბაღის თანამშრომლებს და ხელმძღვანელობას.

ბავშვს აქვს ულამაზესი სააქტო დარბაზი, რომელიც მორთულია ულამაზესი აპლიკაციებით თუ ნახატებით, ხელთნაკეთი ორიგინალური სუვენირებით, რაც დამსახურებაა მუსიკის მასწავლებლის **ლალი ბოლქვაძის**, მისი ოქროს ხელის და მსახურებაა დერეფნების ლამაზ ფერებში მოჩუქურთმებაც. ყოველი შემოსვლა და მეცადინეობები ამ სააქტო დარბაზში პატარებისთვის დღესასწაულია, მათ ძალიან უხარიათ და ბედნიერები არიან, როცა აქ სწავლობენ სიმღერებს დედაზე, მამულზე, მათი ჭიკჭიკა ხმები ნათელი და ბედნიერი, გამოლიანებული საქარათველოს იმედს უსახავს მსმენელს. ცეკვის მასწავლებელი **სოფიო კილაძე**, დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. გავცნოთ ზოგიერთ პატარას, რომლებიც გამოირჩევიან სიმღერაში თუ ცეკვაში. ესენია: **ანასტასია გაჩეჩილაძე**, **ანაკაპანაძე**, **ნიკოლოზ მუმლაძე**, **ანასტასია იზორია**, **ვაჩე და ანასტასია კავთელიძე**.

ვილები, **ლუკა ხვედელიძე**, **ნიკა ლიპარტიანი**, **ლიზი ხვედელიძე**, რომელიც ბავშვებს დადის და ბრწყინავს თავისი შესაძლებლობებით.

ხატვის ხელოვნებაში გამოჩენილები არიან **ნინო აფხაზავა** და **თამარ შარიბაშვილი**.

არ ანაკლები ყურადღება ექცევა სპორტს. ყოველ დღით ტარდება დილის გამამხნეებელი ვარჯიშები ამინდის და წელიწადის დროების შესაბამისად ბავშვები გადიან ეზოში. უნდა აღინიშნოს რომ ბავშვში ჰყავთ 3 ინკლუზიური აღსაზრდელი,

რომლებთანაც განსაკუთრებული სიფრთხილით მუშაობს ფსიქოლოგი **ნინო პეტრიაშვილი**.

მთელი ყურადღება განათლებასთან ერთად მიპყრობილი აქვს მთელ კოლექტივს ბავშვების სწორი კვებისკენ. 2015-16 წელი დაიწყო ახალი მენიუ-ფაქტურებით, რომელიც ბაგა-ბაღების სააგენტოს დაკვეთით შეიმუშავა ქალაქის ცნობილი დიეტოლოგებმა, რომელიც საკმაოდ მრავალფეროვანია და მოიცავს ბავშვების ფიზიკური და გონებრივი განვითარებისთვის ყველა საჭირო პროდუქტს. ბავშვებს უზრუნველყოფენ გამოცდილი მზარეულები **ნელი დავლიანიძე** და **ანეტა დალაქიშვილი**, რომელსაც შარშან შეუსრულდა 80 წელი და ბავშვი მუშაობის 40 წელი. ბარის ადმინისტრაციამ დაჯილდოვა ფულადი პრემიით.

ბაგა-ბაღის გამართულად მუშაობას დიდად საკანცელარიო საქმეების აღმსრულებელი **ციცინო ტივაძე**, ჯანმრთელობის დაცვის და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორი, სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი **ლალი ზენაიშვილი**.



დირექტორი **გიული გორგოძე** მაღლიერებით აღნიშნავს დარაჯების თავდადებას, რომლებიც დღეს და ღამეს ასწორებენ, რათა დიაცვან უსაფრთხოება და უზრუნველყონ თითოეული აღსაზრდელის თუ თანამშრომლის მშვიდი ცხოვრება. ესენი არიან მამა-შვილი **დავით** და **გეორგი გიორბულიძეები**. ბავშვი თავდადებით მუშაობენ დამლაგებელი **ლიანა სამსონიძე** და მუშა-**გიორგი ქუთათელაძე**.

ბაგა-ბაღის ადმინისტრაცია მაღლობს უცხადებს ბაგა-ბაღების სააგენტოს მთელ კოლექტივს და მის დირექტორს **თემურ თორდინავას** იმ ყურადღებისთვის და ღვაწლისთვის, რომლებსაც ისინი საბავშვო ბაღებს უძღვნიან. აგრეთვე მაღლობენ არიან მერიის სამსახურებისა, რომლებმაც მათ უფასო სამგზავრო ბარათები გადასცეს.

გუსურვით ამ შესანიშნავ კოლექტივს წარმატებები და შევეცდებით ჩვენი გაზრდის ფურცლებზე კიდევ ბევრჯერ ავსახოთ ამ ბაღის ცეროდენების შინაარსიანი და ხალისიანი ცხოვრება.

ნანა ფიფია



## აკაკი

(გარდაცვალების 100 წლისთავი)

### სიზმარი

ერთხელ მხოლოდ, – ისიც ძილში, – ქართველ ქალთა ენაზე კრება; გეფიცებით, მისი ნახვა ახლაც ისევ მენატრება! ტახტზე იჯდა თამარ მეფე, მომხიბლავი, ეშხიანი... მატყნით უღვა თინათინი, მარჯვნივ – ნესტან-დარეჯანი, შემოვიდა რუსთაველი, ის სულმნათი და მფოსანი, ხელში ებყრა მოწიწებით მისი „ვეფხისტყაოსანი“ თაყვანი სცა სწოთრებოვანს, მის წინ მუხლი მოიყარა... გაიღმა ტახტზე მუდომმა და ცრემლები გადმოვარდა... ბზბანა: „გამაღობ, ვერ გავდებდი, როგორც მეფე, დღეს შენს ვალსა, – უკვდავების მოსახვეჭად მიგაბიჭებ მომიგაფლას!.. ეს რომ ბზბანა, ნათელ სვეტად გადმოთევა ცისარტყელა: აიხატა შუქმა შუქი და მის გაბყვა თანვე ყველა!


### ლოცვა

დედათ ღვთისაგ! შენი ხვედრია ეს საქართველო დიდჭინჩანული, შეუნდევ ცოდვა!.. ნუ ააღებ ხელს, ღმობიერებით იბრუნე გული!.. მოეც კურთხევა ზეცით, მაღალო, და გადმოსახე ძლიერად ჯვარი, რომ აღადგინო ქართველთა ერი, დღეს დაცემული და

ცოცხალ-მკვდარი მისა მხნობას, მისა ხნობას განუმტკიცებლე აღმაფრენასა და შენს საქებრად აღმაფრენასა და შენს საქებრად, სადიდებლად ნუ დააფიქვებ ამ ტკბილ ენას!

წავიკითხოთ! გავითავისოთ!

# სიკეთის შთესვლი ნიგნი



ეს სიტყვები განგაშის ზარად უნდა აღიქვას თითოეულმა ჩვენგანმა, რადგან მართლაც რომ ჩვენს თვალწინ „ირღვევა ქართული ენის სტრუქტურა, მისი მოქნილი სინტაქსი, ენობრივი ქსოვილი. ღარიბდება უმდიდრესი ლექსიკური ფონდი“. ჩვენს თვალწინ ცვლის ძირძველ მსუყე ქართულ სიტყვებს უცხოური გამონათქვამე-

ბი და თანდათან ყურს ვაჩვენებთ ამას. ენა კნინდება, უსუსურდება, უდიდესი ტკივილით გვეუბნება გივი ბოჯგუა, ენის ნახდენას კი რა მოსდევს, ჩვენმა დიდმა წინაპარმა გარკვევით დაგვიბარა.

ბატონი გივის აზრით, ამ სავეალლო მდგომარეობას ისიც უწყობს ხელს, რომ „ქართული ენა ამჟამად სკოლაში მიტმასნილია ლიტერატურის სახელმძღვანელოსთან (ინტეგრირებულია!) და გრამატიკის ცალკეულ ტერმინთა განმარტებით კმაყოფილდება“. „სამართლიანობა მოითხოვს, რომ ქართული ენის გრამატიკა ცალკე საგნად ისწავლებოდეს უწინდებურად და აღდგეს, ვთქვათ, აკადემიკოს აკაკი შანიძისა და პროფესორ ლეო კვაჭაძის დიდებულ სახელმძღვანელოთა გამოყენებით“.

ამას წერს გივი ბოჯგუა, რადგან ზედმინებით აქვს გათავისებული ამ თემის განსაკუთრებული აქტუალობა და მნიშვნელობა. თუმცა, აქაც არ ღალატობს ზომიერების გრძობა, არ სარგებლობს მეტად მტკივნეული საკითხის რეზონანსულობით და სვამს წერტილს, მაგრამ მკითხველი ხომ აგრძელებს ფიქრს, რომ უარი ვთქვათ აბიტურიენტებზე, რომელთაც ეროვნულ გამოცდებზე ევალებათ არა მარტო ღრმა ცოდნა ენის საკითხებისა, არამედ მათი პრაქტიკაში გამოყენების ჩვევებიც.

ორტომეულში შესულია ყვე-

ლა ის მწერალი, რომელთა შესწავლა სავალდებულოდ მიაჩნია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს VII-XII კლასებში. ამგვარად, ნიგნი მოიცავს სულ 49 მწერალს.

ავტორმა გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ სახელმძღვანელოებში ძუნდადა წარმოდგენილი მწერალთა ბიოგრაფიები და შეეცადა, მათი ცხოვრება-ყოფიერების მომენტები უფრო ფართოდ წარმოედგინა.

ამ მიზნის განსახორციელებლად მას გრანდიოზული შრომა გაუწევია. ერთი რამ გარკვევით უნდა ითქვას: ნიგნი წარმოდგენილი ბიოგრაფიული, ყოფითი, კრიტიკული თუ სხვა მასალები არა მარტო აამაღლებს მკითხველის განათლების დონეს, არამედ გააღვივებს ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებისადმი ინტერესსაც და მის გაგებასა და უკეთ გააზრებაშიც დაეხმარება, მით უმეტეს, რომ ბიოგრაფიული ცნობების გვერდით ხშირ შემთხვევაში მხატვრული ნაწარმოებებიც არის გაანალიზებული. ნიგნი თავმოყრილი უძვირფასესი მასალები მრავალი ინფორმაციის მატარებელია.

ნიგნის მეორე ტომს ბოლოში ერთვის იმ ტექსტისეული სიტყვების ლექსიკონი, რომლის გაგება-განმარტებაც მოსწავლეებს დამოუკიდებლად გაუჭირდებათ.

ამრიგად, გივი ბოჯგუას „ქართველ მწერალთა ცხოვრება და შემოქმედება“, მოსწავლე-ახალგაზრდობის, ქართველი ერის ის სულიერი საზრდოა, რომელიც პატივით გვჭირდება.

**ნათელა გომიგოზიანი,**  
ფილოლოგიის დოქტორი

პოეზია, უპირველეს ყოვლისა!

## გუტამ ხანდამიშვილი

### ერთი ლექსი

მინდა დავწერო ისეთი ლექსი, როგორც დათქვა გამჩენმა; მე ვიცი ბოლოს მოკვდება ყველა, ნარიყალაც კი არ გადაარჩება... და მაინც მინდა დავწერო ლექსი, ლექსი, რომელიც მარად დარჩება.

ძველმა ლექსებმა, ბევრჯერ ნარჩევმა, კარგმაც და, თუმცა, უკვე ნაჩვენებმა, მონონტულმა, ზოგამაც ნარჩენმა, ღმერთის სურვილმა, მისმა, და ჩემმაც, ლექსი ნანადი სიზმრად მაჩვენა! მას არ ჭირდება სხვებში არჩევა, არც განხილვა და აღარც გარჩევა. ნამკითხველი კი, მჯერა გაჩნდება და თუნდაც ერთ კაცს გულში ჩარჩება.

### მასლას!

წუთისოფელი, ზოგჯერ რა უკუღმართი რამ ხარ! ხან რეალურად რაც ხდება, სიზმარშიც ვერა ნახავ: ზოგს ხელი ჩაუქნევია, ზოგი დიდ გეგმებს სახავს, ზოგს თავმდაბლობა ამშვენებს, ზოგს სიამაყე ახლავს; ზოგი ხარბია, ვერ ძღება და დაულია ხახა, ზოგს კიდევ კრიჭა შეუკრავს, როგორც უიღბლო გლახას, ზოგს ერთი კერძიც არა აქვს, ზოგი თორმეტ კერძს ხანსლავს, ზოგს კი აქვს თავზესაყურელად,

მაგრამ ინახავს მარხვას; ზოგს ადგილიდან ვერ დაძრავ, ზოგს ამოძრავებს ზრახვა, ზოგი მას წლობით უნდება, ზოგი მაშინვე ჩარხავს; ზოგს საქმე დამში გამოჰყავს, ზოგი უგვანოდ ჩხლართავს; სხვამ, ფულს არ იცის რა უყოს, ბალიში ტენის თანხას; ზოგიც უბრძნესად მეტყველებს, ზოგი კი რას არ ჩმახავს... ეეხ! რაც არის, ეს არის, ვერაფერს იზამ, მახლას!

### რა ლამაზია!

რა ლამაზია ეს გაზაფხული! ცოდო არ არის, ფერი იცვალის, დაჭკნეს, გახუნდეს მზედაზაფრული, სადღაც განვიდეს და მიიცვალოს?

რა ლამაზია სიტურფე შენი, იავ, ქვეყანა შენ გენაცვალოს! ცოდო არ არის ამ სოფლის მშვენი მე დამემსგავსოს და მიიცვალოს!

რატომ არ ფიქრობ, ღმერთო, ამაზე, ეს რას შეუშლის ახალს სანაცვლოს? ცოდო არ არის ეს სილამაზე, ბერწივით გაქრეს და მიიცვალოს?

### წრებრუნვა

ცხოვრების წლებით დაბერებული თმათეთრი კაცი ადის აღმართზე, უკან მიჰყვება დაბრძმებული და არა ნაღვლობს აღარაფერზე.

ის, წინ რომ მიდის, თვლით-ლა აბიჯებს, გაბურძნულია, თმა ეღერება,

ის, რომ მიჰყვება, არ თვლის ნაბიჯებს, გაპარსულია და ემღერება.

და მეორდება ყოველდღე ასე... ერთ დღეს კი გაქრა წინ მიმავალი, რომ მიჰყვებოდა, წინ წადგა მასზე და აედევნა მას მომავალი.

### სამება

თავსხმამ მოიცვა ქვეყანა – ველ-მინდვრებიან, ტყიანად და კაცთა ნახნავ-ნათესი ერთიან გაატილა.

ბოლოს და ბოლოს ღვთის ნიშნად ვარსკვლავი ამოციალდა და სულიწმინდის გარდმოსვლა მტრედვივით გამოცქერიალდა.

დილა გათენდა ღვთიური, ჩიტების სტვენა-ფრიალად, გაიღო თალი ღვთიური, მზეც ამოვიდა მთლიანად.

მის ლურჯ ტატნობზე დიადად ღვთის სიტყვა გამოხმინდა, ძე მარჯვნივ დასვა ნიადგ, მრევლს დაურიგა ხმაიდა.

და როცა სრულად გათენდა, ცაზე გამოჩნდა ტრიადა და კომუნისტი პაპა საფლავეში გადატრიალდა.

### მთავარი კითხვა

გაგაოგნებს, რომ უყურო: ქოთანი ვერ ძღებს უყუროდ, ცეცხლი ვერ ხარობს უგულოდ, პატიოსანი – უფულოდ.

და ის, რაც ჩვენში ხდება, ჩემს გაცბუნებას იწყებს, ჩნდება დუელთა წყება, მტყუანი მართალს იწყებს;

ჭეშმარიტება კვდება, უკვდავება ხრწნის სულს და, რა თქმა უნდა, ცდება, ერთს, რომ მეორე სძულს;

თავი ვერ უვლის თავს, ძალას უაზროდ ფანტავს, კატა ვერ იჭერს თავს, მზე ვერ ამნიფებს ატამს;

კაცი ირჯება ტყუილად, სიტყვა გარდადის ფშუილად; რწმენა იქცევა ფულუროდ, ჩვენი მცდელობა ფუტუროდ.

გკითხავ სუსტსა და ამტანს, თუ კიდევ ვზიდავთ ამ ტანს, როდის მოვრჩებიტან ტანტალს, ასე როდემდე გასტანს?

დიახ, სუსტსა და ამტანს, დიახ, ცრულსა და გამტანს, მღვდელი მაღლს ველარ ატანს, სიცივე ყველგან ატანს.

კვლავ ვეკითხები ამ პირებს, თმენის უსაზღვრო ნაპირებს: ვინ და როდემდე აპირებს სისხლი ანოვოს ვამპირებს?

### — რა მოხდა?


— „ამაზე მეტი რა უნდა მოხდეს, ეს ბოლო წლები უმეწოდ მიდის“, შენს ქალურსა და პატარა სევდას სულ არ ადარდებს გრძობები დიდი, ჩამდგარა ურცხვად ვილაციის დახლში და წრფელ სიყვარულს გროშებზე ყიდი.

### ფრაგმენტი

მე შენ გგავარ, შენ მე მგავხარ, ასეთი ვართ ჩვენა; მე შენ გბაძავ, შენ მე მბაძავ, ასეთი გვაქვს ჩვევა: სუფრა იდრიკებოდა და ეხვეოდა ყველა, კაცი იდრიკებოდა და... არსად იყო შველა.

წიგნი – მარადიული ძეგლი

„ტასაცა გასცემ შენია...“



დიდი რუსთველის ამ ნათქვამს ის კაცი გაიგებს და ირწმუნებს, ვინც დღეინადაც მხოლოდ საკუთარი ჯამში კი არ იტყირება, არამედ იმასაც ფიქრობს, „აბა, დღეს მე ვის რა ვარგეო“. სწორედ ასეთი კაცი ყოფილა ჯვარის პირველი საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორი ლუდოვიკო ჭანტურია, რომელსაც სულ ახლახან, შესანიშნავი ძეგლი დაუდგეს მის-მა ნამონაწერებმა, კოლეგებმა და, საერთოდ, მადლიერმა საზოგადოებამ ერთობ ლამაზად გამოცემული წიგნის სახით. გული მწყდება, ლუდოვიკო ჭანტურიას პირადად რომ არ ვიცნობდი. სამეცნიერო-პედაგოგიურ ჟურნალში ჩემი ხანგრძლივი მუშაობისას, სულ სხვათაგან მესმოდა ხოლმე მისი ქება. არაერთხელ მიფიქრია, ჩავსულიყავი ჯვარში, მის საქმიანობას ჩემი თვალთვალს ვაცნობოდი და ქვეყნისთვის მემცნო ის სიკეთე, რასაც უშურველად არიგებდა იგი. ამიტომ ვთქვი „ყოფილა“-მეთქი, თორემ კი არ „ყოფილა“, არამედ ჭეშმარიტად „იყო!“ სანთელ-საკმეველმა არც ამჯერად დაკარგა თავისი გზა და ამ წიგნის გამოსვლის შემდეგ სრულიად საქართველო გაიგებს, რა მადლს სდებდა ის კაცი მონაწიეთა გულს და ამ მადლს დღეს სხვებზე ეზიარებინ – ისინიც, რომ-

ლებსაც ლუდოვიკო ჭანტურია ცოცხალი არ უნახავთ. ამ მადლითა და მადლობით აღსავსე წიგნის რედაქტორი მე ვარ. გამოჩენილი ჟურნალისტის გვანჯი მანიას მონადინებით მოხდა ეს. საოცარი პიროვნებაა გვანჯი! თავისი მაღალი ნიჭიერება და ჟურნალისტური ტალანტი, თავისი მრავალმხრივი საქმიანობის გარდა, დაფარული მარგალიტების გამოჩუქრებას, გარემოებათა თუ ბედისწერის გამო ჩრდილში მოქცეული ღირსეული ადამიანების ღვაწლის წარმოჩენას გადააგო. ეს წიგნიც მისი ნაამბავარია. ევალებოდა კიდევაც ეს, რადგან იმ სულგანათლებულს მის აღზრდაშიც მიუძღოდა ღვაწლი, რისთვისაც მეც მადლობას ვუთვლი იმ მარადიულ წუთისოფელში... ვკითხულობდი ნამონაწერთა და კოლეგა-მეგობართა მოგონებებს და ჩემთვის ვფიქრობდი: პედაგოგობა ზოგისთვის პროფესიაა, ზოგისთვის ბედისწერაა. პედაგოგობას თუ ხელობად თვლი, მაშინ ის შენი პროფესიაა და შეიძლება კარგი პროფესიონალიც კი იყო, მაგრამ თუ იგი შენი ცხოვრების საზრისად მიგაჩნია, მაშინ შენ ხარ ამ პროფესიისათვის და არა იგი შენთვის. ეს კი ბედისწერაა მაშინ! ლუდოვიკო ჭანტურიაზე ამ მოგონებათა წიგნს ვინც გაეცნობა, დარწმუნდება, რომ მისთვის პედაგოგობა სწორედ რომ ბედისწერა იყო. მრავალმხრივად ნიჭიერ კაცს საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრ უბანზე შეეძლო წარმატებული მოღვაწეობა, ბევრად უფრო შემოსავლიანი საქმიანობის მიყოლა, მაგრამ მან მასწავლებლობას უერთგულა ბოლომდე, ხოლო მასწავლებლობა რა „მატერიალურ სიკეთეებთან“ არის დაკავშირებული, ყველამ იცის ეს. უერთგულა და ამიტომაც დაიდგა ხელთუქმნელი ძეგლი, გრანტიისა და ბრინჯაოს ძეგლებს რომ სჯობნის სიმტკიცითა და მომხიბვლელობით. წალენჯიხის რაიონში საგანმანათლებლო საქმის ცნობილი ორგანიზატორი, ერთ-ერთი გამორჩეული სკოლის სა-

მაგალითო დირექტორი, პირველ ყოვლისა მასწავლებელი იყო – ისტორიას ასწავლიდა მოზარდებს. როგორც წესი, ასე ხდება ხოლმე: თავისი საქმის დიდოსტატი მასწავლებლები მისი საგნის სიყვარულს უწერდნენ აღსაზრდელს და ბევრს თავიანთ კვალზე აყენებენ კიდევ. ეს „მიმდევრები“ შემდგომში თავიანთი მოძღვრის ერთგულები არიან და მოგონებებში მუდამ მადლიერებით მოიხსენიებენ მას. ამ შემთხვევაში მთლად ასე როდია საქმე. როგორც ჩანს, ლუდოვიკო ჭანტურია მხოლოდ ისტორიას არ ასწავლიდა მოზარდებს; კაცობასა და მოქალაქეობას ასწავლიდა მათ, ადამიანობას ზრდიდა ადამიანის შვილებში. ამიტომ არის, რომ ამ წიგნიც ერთნაირი მადლიერებითა და სიყვარულით იგონებენ მას მისი ნამონაწერები – ინჟინრები და ეკონომისტები, სპორტსმენები და იურისტები, მათემატიკოსები და ფიზიკოსები... რა ზნეობრივი მრწამსის ერთგული იყო ლუდოვიკო ჭანტურია, კარგად ჩანს მისი ცხოვრების ერთ რიგით ეპიზოდში, რომელსაც აქვე გავაცნობთ: წალენჯიხის რაიონის მასწავლებელთა კონფერენციაზე გამოსვლისას უთქვამს: „სკოლაში, გაკვეთილზე, დირექტორი იქნება ის, თუ რიგითი მასწავლებელი, ისე უნდა შედიოდეს, როგორც ძველად შედიოდნენ ტაძარში და თითოეულ ბავშვს ისე უნდა უტყუროდეს, როგორც ანგელოზებს. 1974 წელს, კომუნისტური იდეოლოგიის ზეობის დროს უთქვამს ეს, რასაც თავის მოგონებაში წალენჯიხის რაიონის იმდროინდელი პირველი მდივანი, თავდაც დიდებული პიროვნება, გიორგი ნაჭყებია გვიდასტურებს. სხვას რომ ეთქვა ეს, სკოლის დირექტორობას კი არა, მასწავლებლობასაც მისევე დაა-

ლუდოვიკო ჭანტურია  
ამაღლითი  
მასწავლებელი  
მეგობარი  
100  
თანამედროვეთა მოგონებები  
თბილისი 2015

ტოვებინებდნენ, თუნდაც გიორგი ნაჭყებიაწინაირი კაცები ყოფილიყვნენ პარტიის რაიონის პირველი მდივნები. უპატიებელ იდეოლოგიურ მკრეხელობად ითვლებოდა ამგვარი ნათქვამი მაშინ, პედაგოგი კი უპირველესი იდეოლოგიური მუშაკი იყო. ლუდოვიკო ჭანტურიას ამ საჯაროდ გაცხადებულ იდეოლოგიურ დემარშს კი ტაში დაუკრეს! რატომ? მართალია და გულწრფელი კაცი იყო და ამიტომ! სიმართლისა და გულწრფელობის წინაშე ყველა და ყველაფერი უძღურია, მათ შორის სასტიკი პოლიტიკური კონიუნქტურაც. სიმართლითა და გულწრფელობით იცხოვრა ლუდოვიკო ჭანტურია და სიცოცხლე ფიზიკური არყოფნით არ დაუმთავრებია. იგი სიცოცხლეს განაგრძობს მისი ნამოქმედარის კეთილ ნაყოფში, რისი დასტურიც ეს ლამაზად გამოცემული წიგნია.

ზურაბ ცუცქერიძე

პატივები პოლიტიკურ სიმწვაგით

რომეცია მამა, ანუ მშობედი №1?


დიდი ხნის წინათ ქუთაისის პედინსტიტუტში, ლუკა ჭელიძის რექტორობის დროს, ბიოლოგიის ფაკულტეტის პროფესორს გოცირიძეს საცდელი ძაღლთა-შენი ჰქონდა მოწყობილი. გადანასკველ ძაღლებს აკვირდებოდა და ჩიფჩიფებდა: რომელია ძუ? რომელია ხვადი? ეს ეპიზოდი მსოფლიოში დღეს ატეხილმა ერთსქესიანთა ქორწინების აუიოტაჟმა გამახსენა. პროგნოზებით დახლართულ ფიქრებს მივუყვები. შედეგები? დავუშვათ, მამაკაცი მამაკაცის მეუღლეა. დღეს და ოდითგან ბუნებრივი სიყვარულით შეუღლებულ ქალ-ვაჟს შორის ჩნდება კონფლიქტი, თორემ... რომელს ეკუთვნის მამობა, ანუ №1 მშობლის პრიმატი, რომელს – დედობა, ანუ №2 მშობლის როლი? ამაზე ხომ უთუოდ, წაკინკლავდებოდა? ასე მოხდება მდებრებითი სქესის პარადიგმაშიც. დავუშვათ, თანაცხოვრების ეს პრობლემა ადაპტაციის პრინციპით მოგვარდა. ახლა მეორე, უფრო დილემური პრობლემა: შვილები, გამრავლება, შთამომავლობა. სხვისგან გაჩენილ ბავშვს იშვილე-

ბენო! – ნამოიძახა ვილაცამ, კეთილი და პატიოსანი. ისევე დავუშვათ: გეომეტრიული პროგრესიით მომრავლდნენ ერთსქესიანები. მოშვილოსნე დედეები აღარ დარჩნენ? „სინჯარის“ ბავშვები! – ისევე ნამოიძახა ვილაცამ. ვაიმე, ჩემო თავო: სად გაქრება ადამიანური ღირებულებები: ბუნების მონიჭებული სიყვარული, მეგობრობა, ზნემაღალი გრძნობები, ის ყველაფერი, რაც ამშვენებდა კაცობრიობას და რისთვისაც ღირდა ამქვეყნად მოსვლა? ნუთუ დაეცა ადამიანის გონი, საზრისი ცხოველების დონეზე დაბლა? სადმე გინახავთ, გსმენიათ, ნაკვითხავთ ერთსქესიანი ცხოველების, ფრინველების, ქვეწარმავლების სექსი? მხოლოდ ამ პირობითი ჯონი – ბესოს: ამას, ამას, ამას, იმას, იმას შეასრულებ? მოგცემ ვეროკავშირის მასს. ეს, ეს, ეს, ის, ის, ის თუ გააკეთე, მოგცემ ნატოს მასს. ასე, ასე, ასე, ისე, ისე, ისე თუ მოიქცე-

ვი, ყველა ამ დავალებას თუ შეასრულებ, მოგცემ ვეროკავშირ-ნატოს მასს. ბესო – ჯონის: ბოლო-ბოლო, როდის მიგვიღებთ? ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები! კადრების დეფიციტითა და მაღალ თანამდებობებზე ნაციონალები დატოვებს. აყვირდნენ „ოცნებელები“, ამისთვის ვიბრძოდითო?! ოცნებელები დანიშნეს მაღალ თანამდებობებზე. ახლა ნაციონალები აყვირდნენ: აშკარა ნეპოტიზმიო. პაროდისტი მოსა მწარალი

წიგნის თარბზე  
მუცოლური აზრის  
პოლუსური მწაღნობი

ისა გაიტაცა პოეტი ფილოლოგიური პრობლემის სიღრმემ, რომ თავისი სალექსო მუშის ნაწილი მეცნიერულ აზრს მოახმარა. სოგაის მინდინას ფენომენის ახსნაზე (ე. ი. ქართული სულის გააზრებაზე) ბევრს უფიქრია. პოეტმა ალეკო გაბელაიამ პრომეთე-ამირანის იდენტობის თემას ორიგინალური გააზრება მისცა ახლახან გამოცემულ წიგნში „სოგაის მინდი“ (პოეტური პროზა). წიგნის მეცნიერულ-პოეტურ ღირსებაზე პროფესიონალები იმსჯელებენ. ჩვენი მიზანია, მკითხველს ვაცნობოთ წიგნის გამოცემის ფაქტი, ხოლო მისი გულდასმით წაკითხვა და შეფასება მისი აღმატებულება მკითხველის საქმეა. საკუთარი ინფორმაცია



მთ. რედაქტორი ბორის მიშველაძე  
ნომრის რედაქტორი მზია გომოძე  
სახალხო განათლება+ №12 (4516)  
14 ოქტომბერი, 2015 წელი  
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან  
რედკოლეგია  
ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 34-37-27; ნათელა ქიმერიძე 595 58-45-72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04  
E-mail: sakhalkho.ganatileba@gmail.com  
ტელ: (0 32) 2 99 80 00  
(0 32) 2 98 48 07; (0 32) 2 99 63 52  
ISSN 1987-9113  
9 771987 911009